სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №263

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 27 ოქტომბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი რექტორის პირველი მოადგილის ირაკლი კაცაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ნიუ კონსტრუქციონ კომპანი New Constuction Company" (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ წითაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის და ელექტრონული ტენდერის ჩატრების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის სპეციალური სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ: საზღაო აკადემიის მეზღვაურთა საწვრთნელი და სერთიფიცირების ცენტრზე ფასადის მოპირკეთება ჰიდროსაიზოლაციო მასალით 80 კვ.მ-ზე თანახმად დანართი N2-სა.
2.2. კლასიფიკატორის კოდი: 45262600.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება - 4 887,8 (ოთხი ათას რვაას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 80 თეთრი) ლარი.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
4.3. <u>დაფინანსების წყარო:</u> საგანმანათლებლო მომსახურებიდან და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

,,შემსყიდველი'' ,,მიმწოდებელი''

ND 2-O05-11

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელისმოწერის დღიდან.

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ ტუკვაძე.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველი მისამართი - ქ. ბათუმი. რუსთაველის ქ.№53.

6.2. მომსახურების მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

ND 2-O05-11

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქ. ბათუმი. რუსთაველის ქ№53
სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“
სახაზინო კოდი: 709007501
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESG22

რექტორის პირველი მოადგილე
ირაკლი კაცაძე

„მიმწოდებელი“

ბაღდათი, სოფელი დიმი

შპს „ნიუ კონსტრუქციონ კომპანი New Constuction Company“
ანგარიშის № GE67KS0000000360204649
საიდენტიფიკაციო კოდი: 425053693
მიმღების ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: KSBGGE22

დირექტორი
გრიგოლ წითაძე

ND 2-O05-11

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა

დანართი N2

№	საფუძველი	სამუშაოთა დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა		სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	
				განზომილების ერთეული	საპროექტო მონაცემები	განზომილების ერთეულზე	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
1	საბაზრო	ფასადის მოპირკეთება თბოსაიზოლაციო xps მოსაპირკეთებელი ფილებით სისქით 50მმ, დამუშავებით და შეღებვით	კვ.მ		80,00		2160,00
1,1	საბაზრო	შრომითი დანახარჯი	კვ.მ	1	80,0	7,00	560,00
1,2		თბოსაიზოლაციო მასალა 50მმ xps	კვ.მ	1,02	81,6	7,00	571,20
1,3		წებოცემენტი	კგ	4	320,0	1,74	556,80
1,4		წებო ბადის	კგ	4,5	360,0	1,20	432,00
1,5	საბაზრო	სპეც. დუპელი	ცალი	5	400,0	0,10	40,00
2	საბაზრო-სახელშეკრულებო	პლასტიკატის შეკიდული ჭერის მოწყობა	$მ^2$		87,25		1526,88
2,1		შრომითი დანახარჯი	$მ^2$	1,00	87,3	5,50	479,88
2,1		მატერიალური რესურსები	$მ^2$	1	87,3	12,00	1047,00
		ლოკალურ რესურსული ჯამი:	ლარი				3686,88
		მათ შორის:	ლარი				
		1. შრომითი დანახარჯი	ლარი				1039,88
		ჯამი: პირდაპირ ხარჯებზე	ლარი				3686,88
		ზედნადები ხარჯები	ლარი		7,00%		258,08
		ჯამი	ლარი				3944,96
		გეგმიური დაგროვება	ლარი		5,00%		197,25
		სულ ხარჯთაღრიცხვით	ლარი				4142,20

მშენებლობის ღირებულების ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ანგარიში

№	ხარჯთაღრიცხვის ნომერი	ობიექტის, სამუშაოს და ხარჯების დასახელება	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება				
			სამშენებლო სამუშაოები	სამონტაჟო სამუშაოები	დანადგარები,ავეჯი, ინვენტარი	სხვადასხვა ხარჯები	საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება
1	2	3	4	5	6	7	8
1	ობიექტ.ხარჯ. №1	სარემონტო სამუშაოები	4142,2	0,0			4142,2
2							
3							
		ჯამი					4142,2
		დამატებითი ღირებულების გადასახადი 18 %	18,00%				745,6
		სულ კრებსითი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება					**4887,8**

„შემსყიდველი"

სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია"
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337

რექტორის პირველი მოადგილე
ირაკლი კაცაძე

„მიმწოდებელი"

შპს „ნიუ კონსტრუქციონ კომპანი New Constuction Company"
საიდენტიფიკაციო კოდი: 425053693

დირექტორი
გრიგოლ წითაძე

ND 2-O05-11